ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

დ. სტეფანწმინდა

განკარგულება:**g-103. 103242481**
თარიღი:**04/09/2024**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 46-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. 2024 წლის 26 ოქტომბერს გასამართ საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

ა) დაბა სტეფანწმინდაში - ალ. ყაზბეგის მოედანზე მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია;

ბ) გერგეტის უბანი - ,,რიტუალების სახლის'' მიმდებარე ტერიტორია;

გ) სოფელი სნო - ,,რიტუალების სახლის'' მიმდებარე ტერიტორია;

დ) სოფელი სიონი - ,,კულტურის სახლის'' მიმდებარე ტერიტორია და ,,რიტუალების სახლის „ მიმდებარე ტერიტორია;

ე) სოფელი არშა -,, რიტუალების სახლის'' მიმდებარე ტერიტორია;

ვ) სოფელ გარბნის გადასახვევი - მგზავრთა მოსაცდელის ტერიტორია;

ზ) სოფელი გორისციხე - მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია;

თ) სოფელი კობი - მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია;

ი) დაბა გუდაური - ყოფილი ,,ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი''-სა და ყოფილი ,,ფოსტის'' მიმდებარე ტერიტორია'';

კ) მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების რკინის ბოძები;

ლ) საარჩევნო პლაკატების გაკვრა დასაშვებია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო ობიექტების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე.

მუხლი 2. საარჩევნო პლაკატებისა და სხვა ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გაკვრა აკრძალულია:

ა) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საკულტო ნაგებობებზე;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე;

გ) მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობა-ნაგებობებზე;

დ) სამხედრო შენაერთის, სასამართლოსა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერზე;

ე) დაბა სტეფანწმინდაში ალ. ყაზბეგის ძეგლზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე;

ვ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ შინმოუსვლელთა ძეგლებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მუხლი 3. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებზე და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში, გარდა ამავე განკარგულებით აკრძალული შენობა-ნაგებობებისა.

მუხლი 4. საარჩევნო პლაკატებისა და სტენდების გასაკრავად და გამოსაფენად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისამართზე: ქ.მცხეთა სამხედროს ქუჩა ქ N17-ში გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი ქირიკაშვილი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი